ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2020 წლის 23 აპრილის სხდომის

ოქმი # 3

სხდომა ჩატარდა თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, ZOOM პლატფორმის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 21.

დღის წესრიგი:

1. ელექტრონული სწავლების ფორმატში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის წესების დამტკიცება

   მომხს: თ. დოლბაია

2. დოქტორანტ ნატა გარაყანიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება

   მომხს: თ. მატარაძე

მოისმინეს: 1. ელექტრონული სწავლების ფორმატში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის წესები ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს : ა. გაბაშვილმა, ე. ბებერაშვილმა, ა.სარალიძემ, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ნ. ჭალაგანიძემ, მ. შამილიშვილმა, ს. დუნდუამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ელექტრონული სწავლების ფორმატში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის წესები (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თ. მატარაძის ინფორმაცია დოქტორანტ ნატა გარაყანიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის შემადგენლობის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ვ. მელიქიძემ, ს. დუნდუამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტ ნატა გარაყანიძის, სამეცნიერო ხელმძღვანელი: თ. თურმანიძე, პროფესორი; სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „ენერგორესურსები და პოსტსაბჭოთა პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა "

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები:

1. **ზურაბ დავითაშვილი** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთბების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი.

პუბლიკაცია:

Davitashvili, Z. (2015). Is Georgia's Integration into the West Possible? (Factor of Civilization Difference). Space, Society, Politics (pp. 80-89). Tbilisi: Tbilisi State University.

2. **ნიკა ჩიტაძე** - გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, nikachita@yahoo.com; 577465300.

პუბლიკაცია:

Trans Anatolian Pipeline Project (TANAP) and its impact on Regional Cooperation and Energy Security of Georgia. Published by the Center for International Studies. June, 22, 2018. https://centerforis.blogspot.com/2018/06/trans-anatolian-pipeline-project-tanap.html

3. **Oktay Firat Tanrisever** - პროფესორი, დოქტორი რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევებში, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი, თურქეთი. oktay@metu.edu.tr

პუბლიკაცია:

Oktay F. Tanrisever and H. Burak Sakal, Development of Hydropower Sector and Its Impact on Energy-Environment Nexus in Central Asia. *"Eurasian Research Institute"*, (2017).

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. **ფიქრია ასანიშვილი** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, pichria.asanishvili@tsu.ge; 599643223. პუბლიკაცია:
   - Armenian- Georgian Relations: Challenges and opportunities for the Bilateral Cooperation. Politicalscience Association of Armenia. Center for Social Sciences. Yerevan 2014
2. **ეკა აკობია** - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, eka.akobia@tsu.ge, akobiae@gmail.com, 595 333 316. **პუბლიკაცია:**
   - European Security Order: Historical and Theoretical Appraisal of the Russian View", Journal of Young Researchers. No.3, July, 2016.
3. **კორნელი კაკაჩია** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ

მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორი, kornely.kakachia@tsu.ge; 599954954.

პუბლიკაცია:

- საქართველოს საგარეო პოლიტიკა: მდგრადი უსაფრთხოების ძიებაში. კორნელი კაკაჩია, მაიკლ ჩეჩირე (რედაქტორები). კონრად ადენაურის ფონდის პუბლიკაცია. 2013.

4. **დავით მაცაბერიძე** - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, davidmatsaberidze@yahoo.com, David.matsaberidze@tsu.ge 555220050.

პუბლიკაცია:

- Matsaberidze D., 2019. Controversial Representation of Russia in the Georgian Political Public Sphere (The Post-Soviet Period). In: Europe in the Caucasus, Caucasus in Europe: Perspectives on the Construction of a Region (European Studies in the Caucasus – Book N1), Edited by Thomas Krüssmann & Andrey Makarychev Publisher: ibidem Press, Germany

5. **ნიკოლოზ სამხარაძე** - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, samkharadze@gmail.com, 599117005.

პუბლიკაცია:

- Samkharadze N., 2016. Recognition of States in International Law and Practice. 2016. Journal of Young Researchers. No (3), Ivane Javakhishvli Tbilisi State University.

6. **ლაშა ძებისაშვილი** - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტი. ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროგრამების ხელმძღვანელი.

პუბლიკაცია:

- Dzebishvili L., 2016 Norms versus Interests: The Ambiguous Nature of NATO's Democratic Conditionality in Armenia. Connections. 14(2). Partnership For Peace Consortium Of Defense Academies And Security Studies Institutes

7. **გიორგი გვალია** - პოლიტიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. giorgi_gvalia@iliauni.edu.ge, +995 593 94 99 91

პუბლიკაცია:

- Giorgi Gvalia, Bidzina Lebanidze, David S. Siroky, Neoclassical Realism and Small States: Systemic Constraints and Domestic Filters in Georgia's Foreign Policy (East European Politics, Vol. 35, Issue 1. 2019, Routledge, Taylor&Francis Group)

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: [illegible], ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: [illegible], ასოცირებული პროფესორი

23 აპრილი 2020

თამარ დოლბაია

ალექსანდრე გაბაშვილი

ელენე ბებერაშვილი

მარიამ ბერიანიძე

ნინო ჭალაგანიძე

სალომე დუნდუა

ვალერიან მელიქიძე

ზვიად აბაშიძე

ანი სარალიძე

მანანა შამილიშვილი

თამარ მახარაძე

ნინო პავლიაშვილი

შაკო ლაშხია

თეონა მატარაძე

ხათუნა მაისაშვილი

რატი ხითარიძე

მალხაზ მაცაბერიძე

ზურაბ დავითაშვილი

რევაზ ჯორბენაძე

იაგო კაჭკაჭიშვილი

გიორგი გოგსაძე

ელექტრონული სწავლების ფორმატში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის წესები

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის #205 დადგენილების, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სწავლების კონცეფციის შესაბამისად, **საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვისთვის გამოყენებული** იქნება **განსხვავებული, საჯარო დაცვის გარეშე, საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ფორმატი,** რაც გულისხმობს:

ა) საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების კვლევის დიზაინით გათვალისწინებული ემპირიული კვლევითი საქმიანობის დისტანციურ განხორციელებას (კვლევის ობიექტებთან უშუალო კომუნიკაციის გარეშე);

ბ) საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან სტუდენტთა ონლაინ სინქრონულ და ასინქრონულ კომუნიკაციას (აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სავალდებულო საკონსულტაციო საათებში, კვირაში 2 სთ);

გ) საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებისათვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის დისტანციურ წვდომას, რაც გულისხმობს თსუ ელექტრონული კატალოგის (https://evergreen.tsu.ge/eg/opac/home), ციფრული ბიბლიოთეკისა (https://ebooks.tsu.ge/) და თსუ-ს ელფოსტის საშუალებით სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობას.

https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/zuzzv1vvedy6z0dmj/

საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესი:

საბაკალავრო ნაშრომების შეფასება ხორციელდება საჯარო დაცვის გარეშე, კომისიის დასკვნის საფუძველზე. კომისიის შემადგენლობა (არანაკლებ 5 წევრისა) მტკიცდება დეკანის ბრძანებით.

საბაკალავრო ნაშრომს ამოწმებს კომისიის 2 წევრი და ნაშრომის ხელმძღვანელი.

ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამ შეფასებების საშუალო არითმეტიკულს.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამების დაცვის წესში არაა გათვალისწინებული ნაშრომის ხელმძღვანელის

სტატუსი. ამდენად, ამ პროგრამებზე საბაკალავრო ნაშრომს აფასებს კომისიის 2 წევრი. თუკი მათ შეფასებებში განსხვავება იქნება 10 ან მეტი ქულა, ნაშრომს შემმოწმებლად დაემატება მესამე წევრი.

შეფასების პროცესი ყველა საბაკალავრო პროგრამისთვის განისაზღვრება 6 (ექვსი) სამუშაო დღით და ჩატარდება სემესტრულ ძირითად და დამატებით გამოცდებს შორის პერიოდში (23 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით).

საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით, სტუდენტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას შეფასებამდე ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც განთავსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე e-learning.tsu.ge.

ელექტრონულ ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (doc. გაფართოებით). დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს: BA Thesis, ავტორის სახელის ინიციალისა და გვარის მითითებით (მაგ.: BA Thesis.T.Kapanadze);

ნაშრომი ყველა საბაკალავრო პროგრამისთვის უნდა აიტვირთოს **8-დან 10 ივლისის ჩათვლით (კონკრეტული თარიღი განისაზღვრება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე).**

მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი ვერ ატვირთავს ნაშრომს და იგი არ შეფასდება.

ნაშრომის ატვირთვის ინსტრუქცია გამოქვეყნდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. ამავე ინსტრუქციაში მოცემული იქნება პლაგიატის განმარტება და მასზე რეაგირების მექანიზმი.

საბაკალავრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების დასრულების შემდგომ, ნაშრომი, რომელშიც არ არის აღმოჩენილი პლაგიატი, გადაეცემა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, კომისიის წევრებისთვის გასაგზავნად.

შეფასების პროცესის დასრულების შემდგომ, შედეგების ამსახველი ოქმები გაეგზავნება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, ნაშრომების შეფასებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმების წონა
1.შინაარსობრივი მხარე	**სულ 80 ქულა**
საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება	35 ქულა
ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა	35 ქულა
ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა	10 ქულა
2. ფორმალური მხარე	**20 ქულა**
გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი, ანოტაცია და ა.შ..)	20 ქულა

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი:

სამაგისტრო ნაშრომების შეფასება ხორციელდება საჯარო დაცვის გარეშე, კომისიის დასკვნის საფუძველზე. კომისიის შემადგენლობა (არანაკლებ 5 წევრისა) მტკიცდება დეკანის ბრძანებით.

სამაგისტრო ნაშრომს ამოწმებს კომისიის 2 წევრი და ნაშრომის ხელმძღვანელი.

სამაგისტრო **ნაშრომის წინასწარი დაცვა განხორციელდება** კომისიის წევრების მიერ სამაგისტრო ნაშრომის მოკლე ანოტაციის განხილვის სახით.

წინასწარი დაცვისთვის **(15-19 ივნისი)** სტუდენტი ნაშრომის ანოტაციას (იხ. დანართი) ატვირთავს სპეციალურ ბმულზე. დაცვის კომისია განიხილავს სტუდენტთა ანოტაციებს და განხილვიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში წერილობით პასუხს, წინასწარი დაცვის ოქმთან ერთად, უგზავნის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს მაგისტრანტებისთვის გასაცნობად.

ასევე, დაცვის კომისია განსაზღვრავს და შესაბამისი ოქმით ამტკიცებს დასაცავად რეკომენდებული ნაშრომების შემფასებელთა სიას.

დასრულებული სამაგისტრო ნაშრომის ატვირთვის ვადაა **15-დან 17 ივლისის ჩათვლით პერიოდი** (კონკრეტული თარიღი ცალკე განისაზღვრება თითოეული სამაგისტრო პროგრამისთვის).

სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით, სტუდენტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას შეფასებამდე ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც განთავსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე e-learning.tsu.ge.

მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი ვერ ატვირთავს ნაშრომს და იგი არ შეფასდება.

ნაშრომის ატვირთვის ინსტრუქცია გამოქვეყნდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. ამავე ინსტრუქციაში მოცემული იქნება პლაგიატის განმარტება და მასზე რეაგირების მექანიზმი.

სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების დასრულების შემდგომ, ნაშრომი, რომელშიც არ არის აღმოჩენილი პლაგიატი, გადაეცემა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, დაცვის კომისიებისთვის გასაგზავნად.

სამაგისტრო ნაშრომების შეფასების პროცესი მოიცავს 25 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით პერიოდს. მიღებული შედეგები ეცნობებათ სტუდენტებს.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (მედია და ახალი ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის გარდა):

ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმების წონა
➢ **საკვლევი თემის აქტუალობა/პრობლემის დასმა**	15 ქულა
➢ **კვლევის დიზაინი/მეთოდოლოგია** (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა)	20 ქულა
➢ **ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი** (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მდიდარი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის ცოდნა, მისი წვლილი საკითხის შესწავლაში პრაქტიკული ან თეორიული თვალსაზრისით)	25 ქულა
➢ **ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების ლოგიკურობა, მათი გამომდინარეობა ძირითადი ტექსტიდან)	25 ქულა
➢ **ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე** (ფასდება წარმოდგენილი მასალის კორექტურული და სტილისტური სისწორე, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმება, სტანდარტებთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა)	15 ქულა

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები „მედია და ახალი ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამისთვის:

ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმების წონა
1. კვლევითი კომპონენტი	**სულ 50 ქულა**
აქტუალობა და სიახლე	20 ქულა
ანალიზისა და დასკვნის უნარი	20 ქულა
ენა და სტილი	10 ქულა
2. პრაქტიკული პროდუქტი:	**სულ 50 ქულა**
შინაარსობრივი მხარე	15 ქულა
ობიექტურობა და ფაქტობრივი მასალის სიზუსტე	15 ქულა
ინფორმაციის წყაროები	10 ქულა
ენა და სტილი	10 ქულა

დანართი #1:

სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვისათვის ანოტაციის შექმნის ინსტრუქცია

სამაგისტრო ნაშრომის ანოტაცია შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. სამაგისტრო ნაშრომის სათაური ((ქართულ და ინგლისურ ენებზე), სამაგისტრო პროგრამისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებით
2. თემის აქტუალობა/პრობლემის დასმა
3. კვლევის დიზაინი (მიზანი, ამოცანები, საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზა, კვლევის მეთოდოლოგია, საჭიროების შემთხვევაში შერჩევის კრიტერიუმები)
4. საჭიროების შემთხვევაში თეორიული ჩარჩო/ლიტერატურის მიმოხილვა
5. ნაშრომის ძირითადი მიგნებები

გაფორმება

- ანოტაცია აკრეფილი უნდა A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- ელექტრონულ ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (doc. გაფართოებით). დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს MA Thesis და ავტორის გვარი (მაგ.: MA Thesis.Kapanadze);
- შრიფტის სახე – Sylfaen;
- შრიფტის ზომა – 12;
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
- ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი: მარცხნიდან - 3 სმ, მარჯვნიდან – 1 სმ, ზემოდან – 2,5 სმ, ქვემოდან – 2.5 სმ;
- ანოტაციის მოცულობა – არანაკლებ 4 გვერდისა

დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 2020 წლის 23 აპრილს (ოქმი #3).